ეროვნული სატყეო სააგენტო
National Forestry Agency

წლიური ანგარიში 2021

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სარჩევი

შესავალი	3
1. სამართლებრივი უზრუნველყოფა	5
2. ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია	6
3. ტყითსარგებლობა	8
3.1. მერქნული რესურსით სარგებლობა	9
3.2. სატყეო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია	10
3.3. მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა	11
4. ტყის მოვლა-აღდგენა	13
4.1. ტყის აღდგენის ღონისძიებები	13
4.2. ტყის დაცვის ღონისძიებები	14
4.3. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები	15
5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები	16
6. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება	17
7. სტრატეგიული დაგეგმვა-განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა	18
7.1. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება	18
7.2. საერთაშორისო თანამშრომლობა	18
8. საზოგადოებასთან ურთიერთობა	20
9. ბიუჯეტის შესრულება	22

შესავალი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო მართავს 1,993,900 ჰა სახელმწიფო ტყეს (ტყით დაფარულია 1,873,800 ჰა). შესაბამისად, სააგენტო ქვეყანაში ძირითადი ტყის მართვის ორგანოა და პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის, ტყის ინვენტარიზაციის, აგრეთვე ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე ქვეყნის 9 რეგიონში.

სააგენტო შედგება ცენტრალური აპარატისა და 9 რეგიონული სამსახურისაგან (დიაგრამა 1). სააგენტოში დასაქმებულია 757 ადამიანი, მათ შორის, ცენტრალურ სამსახურში 136, ხოლო 621 თანამშრომელი - 9 რეგიონულ სამსახურში (მათგან ხელშეკრულებით დასაქმებულია - 234 ადამიანი).

სააგენტო არ ოპერირებს დაცულ ტერიტორიებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისსა და მის გარშემო არსებულ მუნიციპალური ერთეულების - სოფლებისა და ქალაქების, აგრეთვე კერძო საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობზე.

სააგენტოს მიზანია, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. მდგრადი მართვის გზით, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის და სოფლად განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდა სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებული მექანიზმის დანერგვის გზით;
- ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება;
- საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და ინფორმირების ხელშეწყობა;
- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის უზრუნველყოფა და ეკოსისტემების მომსახურების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება;
- ინსტიტუციური გაძლიერება და მმართველობის გაუმჯობესება.

ჩამოთვლილი პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სააგენტო ახორციელებს თანმიმდევრულ ღონისძიებებს. გასათვალისწინებელია, რომ 2020-21 წლებში, საქართველოში და ზოგადად მსოფლიოში COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, გავლენა იქონია თითქმის ყველა სფეროზე და მათ შორის, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობაზე.

დიაგრამა 1: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურა.



სააგენტოს მიერ მომზადდა და პარლამენტის მიერ მიღებული იქნა:

- **„საქართველოს ტყის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** საქართველოს კანონი;
- საქართველოს კანონი **„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;**
- საქართველოს კანონი **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;**
- საქართველოს კანონი **„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;**
- საქართველოს კანონი **„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;**
- საქართველოს კანონი **„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**
- **„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“** ცვლილების შეტანის თაობაზე.

1. სამართლებრივი უზრუნველყოფა

„საქართველოს ტყის კოდექსი“ დამტკიცდა 2020 წლის 22 მაისს და ძალაში შევიდა 2021 წლის 1-ელ იანვარს. ახალი კანონის ძალაში შესვლამ გამოიწვია მთელი რიგი საკითხების ახლებური მოწესრიგება. ახალი ტყის კოდექსიდან გამომდინარე მომზადდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა **„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილება.

მომზადდა და დამტკიცდა **"საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"** საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

ასევე, სამინისტროსთან ერთად, შემუშავდა საქართველოს კანონი **„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (თვითნებურად დაკავებული სახელმწიფო საკუთრების სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან დაკავშირებით).

მომზადდა და დამტკიცდა დებულებები:

- **„ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ“** (2021 წლის 27 ივლისის №383 საქართველოს მთავრობის დადგენილება);
- **„საქართველოს ტყის აღრიცხვის სისტემის, კატეგორიზაციისა და მონიტორინგის წესის შესახებ“** (2021 წლის 25 აგვისტოს №427 საქართველოს მთავრობის დადგენილება);
- **„ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“** (2021 წლის 6 ოქტომბრის №496 საქართველოს მთავრობის დადგენილება).

ასევე, მომზადდა და დამტკიცდა **,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტი (ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისთვის შესაბამისი მოსაკრებლების დადგენასთან დაკავშირებით).

2. ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის ფართობებზე მდგრადი მართვის მისაღწევად, ტყის აღრიცხვის დეპარტამენტი ახორციელებს ტყის აღრიცხვას, მოიპოვებს ინფორმაციას ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ, ადგენს სატყეო უბნების საზღვრებს და შეიმუშავებს ტყის მართვის გეგმებს.

დიაგრამა 2: 2021 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყე რეგიონების მიხედვით (ათასი ჰა).



2021 წელს, ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესების მიზნით:

- დასრულდა ლაგოდეხის სატყეო უბნისა (21 086 ჰა) და ალენტეხის (76 393 ჰა) სატყეო უბნების ტყის მართვის გეგმების შემუშავება და საჯარო განხილვები.
- დასრულდა ახმეტის სატყეო უბანზე ტყის ინვენტარიზაციის სტატისტიკური მეთოდის გამოცდა და მის საფუძველზე 2022 წლის მეორე კვარტალში მომზადდება შეფასების ანგარიში;

ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები განხორციელდა:

- დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბანზე (23,355 ჰა);
- ახმეტის სატყეო უბანზე (55,492 ჰა);
- წალკა - თეთრიწყაროს სატყეო უბანზე (54,200 ჰა);
- ადიგენის სატყეო უბანზე (30,000 ჰა);
- ამბროლაურის სატყეო უბანზე (81,069 ჰა)[1].

ტყის აღრიცხვის ღონისძიებები განხორციელებულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის 35%-ზე; ტყის მართვის გეგმები შედგენილია სახელმწიფო ტყის 19,4%-ისთვის.

მეტყევე-ტაქსატორების გადამზადება

ტყის ინვენტარიზაცია ტყის მდგრადი მართვისა და ყველა სახის სატყეო სამეურნეო ღონისძიების დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. ამ მხრივ, დარგის განვითარება დამოკიდებულია ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებზე, რომლის ნაკლებობასაც სექტორი წლების განმავლობაში განიცდიდა, შესაბამისად სატყეო საქმის სპეციალისტების გადამზადება და დასაქმება ინვენტარიზაციის სამუშაოებზე, სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.
2019 წელს, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, მომზადდა მეტყევე-ტაქსატორების სპეციალური სტაჟირების პროგრამა. გადამზადდა და ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდა სატყეო განათლების მქონე 17 ახალგაზრდა. 2020 პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 16 სატყეო საქმის სპეციალისტი. მათ განახორციელეს ტყის აღრიცხვის სამუშაოები ახმეტის[2], დედოფლისწყარო-სიღნაღისა და თეთრიწყაროს სატყეო უბნებზე[3]. 2021 წელს, ადიგენის სატყეო უბანზე ტყის ინვენტარიზაციის განხორციელების მიზნით, გადამზადდა 6 მეტყევე ტაქსატორი[4].
2019 – 2021 წლის ფარგლებში სულ გადამზადდა და დასაქმდა 39 ახალგაზრდა მეტყევე სპეციალისტი.

[1] ამბროლაურის 81,000.0 ჰა ფართობის სატყეო უბნის 20,000.0 ჰა-ზე განხორციელდა საველე სამუშაოები 2021 წელს.
[2] ღონისძიება განხორციელდა GIZ-ის მხარდაჭერით, პროგრამის „ECOServe" ფარგლებში.
[3] ღონისძიება განხორციელდა UNDP-ის მხარდაჭერით, პროექტის „საქართველოში სოფლის განვითარების გაუმჯობესების მხარდაჭერა- ტყის ინვენტარიზაციის, ტყის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავების პროცესის ხელშეწყობისა და დედოფლისწყაროს და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ტყის 73 528 ჰა-ზე მდგრადი მართვის ხელშეწყობა" ფარგლებში.
[4] ღონისძიება განხორციელდა სლოვენიის მთავრობის ფინანსური და WWF-ისა და Zavita-ს ტექნიკური მხარდაჭერით პროექტის „ადიგენის მუნიციპალიტეტში ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა" ფარგლებში.

3. ტყითსარგებლობა

ტყითსარგებლობის დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის რეგულირებისა და დაგეგმვის ორგანიზებაზე, სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტების მომზადებაზე, აგრეთვე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის (გარდა აუქციონის წესით გაცემისა) ღონისძიებების ორგანიზებაზე.

სატყეო სექტორის რეფორმა, რომელიც ახალი ტყის კოდექსის მიღებით შემდგომ ფაზაში გადავიდა, ითვალისწინებს შეშისა და მერქნული რესურსის მდგრადი მიწოდების ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას სააგენტოს მიერ მართული საქმიანი ეზოების საშუალებით. მოპოვებული ხე-ტყე განთავსდება საქმიან ეზოებში, სადაც ხე-ტყე დახარისხდება და დასაწყობდება. ახალი მექანიზმის ამუშავების მიზნით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო ახორციელებს საქმიანი ეზოების მშენებლობას საქართველოს 9 (ცხრა) რეგიონში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა 2020 წელს დაწყებული საქმიანი ეზოების (ხე-ტყის დასაწყობების ბაზების) სამშენებლო სამუშაოები 16 ობიექტზე, საიდანაც დასრულდა 6 ობიექტი, აქედან 4 ობიექტი მცხეთა-მთიანეთში (დაბა თიანეთი, ხევსურთსოფელი, ბულაჩაური, ბოდორნა), 1 საქმიანი ეზო რაჭაში (ლესემა) და 1 საქმიანი ეზო - კახეთში (კოჭბაანი);

3.1. მერქნული რესურსით სარგებლობა

სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფართობზე საანგარიშო პერიოდში დამზადებულია 133,2 ათასი კბმ მერქნული რესურსი. აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზებულია 112,8 ათასი კბმ. რესურსი. სკოლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების საშეშე რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულებები და მოხდა პირდაპირი მიყიდვის წესით 27,1 ათასი კბმ საშეშე მერქნული რესურსის რეალიზება.



დიაგრამა 3: საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი შეშით მომარაგების მიზნით დამზადებული და გადაცემული მერქნული რესურსის მოცულობა (სულ 27,130.0 კბმ).

დიაგრამა 4: სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული და ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების (გარდა სამეურნეო ჭრისა) შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსი.[5]



[5] ინფორმაცია სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული და ტყით სპეციალური სარგებლობის ჭრების (გარდა სამეურნეო ჭრისა) შედეგად მოპოვებული და დასაწყობებული მერქნული რესურსის შესახებ მოწოდებულია რეგიონებიდან, რომელიც მუშავდება სპეციალურ რეესტრში და ახლდება ყოველ ორ კვირაში ერთხელ.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება და მართვა

2021 წელს მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი - „საქმიანი ეზოს“ მოდული, რომელიც მოიცავს სრულ ბიზნესპროცესს - რეგისტრაციიდან დაწყებული, ხე-ტყის მონაცემების აღრიცხვის, დახარისხების აქტის დეტალების შეტანის, ინვოისის გაწერის, ზედნადებით ხე-ტყის გატანისა და ა. შ. პროცესების შესახებ.
სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარეობდა ახალი ბიზნეს პროცესის ტესტირება, რაც გულისხმობს „საქმიანი ეზოებიდან“ სოციალური მიზნებისთვის საშეშე მერქნის შესაძენად „ხე-ტყით სარგებლობის ბილეთის“ გაწერას ბანკის მეშვეობით.
საანგარიშო პერიოდში სოციალური ჭრის ფარგლებში ხე-ტყის დამზადების ბილეთები შეიძინა 36,544.0-მა კომლმა, ბილეთებით გაყიდულმა მოცულობა შეადგინა 281,046.8 კბმ-ს, აქედან, ათვისებულია 252,923.3 კბმ ხე-ტყე.
სოციალური მიზნებისათვის გაცემულია 331,000 კბმ-მდე მერქნული რესურსი. (დაახლოებით 46,000 ბენეფიციარისთვის).



დიაგრამა 5: სოციალური ჭრის ფარგლებში ათვისებული ხე-ტყის მოცულობა 2020 და 2021 წლებში.

დიაგრამა 6:
სამეურნეო და მოვლითი ჭრის ტყეკაფებიდან დამზადებული და სააგენტოსთვის გადმოცემული მერქნული რესურსის მოცულობა (სულ 132, 623,6 კბმ).



3.2. სატყეო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2021 წელს სულ დაპროექტდა 102,713 მ გზის მოწყობა/რეაბილიტაცია (მოწყობა 16,331 მ; რეაბილიტაცია 86,382 მ). აღნიშნული პროექტიდან განხორციელდა და ექსპლუატაციისთვის რეკომენდაცია მიეცა 68,414 მ გზას (მოწყობა - 12,878 მ; რეაბილიტაცია 55,536 მ).

დიაგრამა 7:
სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაცია (მ).



3.3. მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა

განხორციელდა შპს ,,გურია ჯფ“ ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიით (N100071) განსაზღვრული ტყითსარგებლობის გეგმის პროექტის განხილვა. შედეგად, აღნიშნული პროექტი, კანონმდებლობის შესაბამისად, გადაიგზავნა სამინისტროში დასამტკიცებლად. ტყით სპეციალურ სარგებლობასთან დაკავშირებით (იჯარა) განხილული იქნა 153 განცხადება (891 ჰა-ზე), საიდანაც 14 განმცხადებელს (52 ჰა-ზე) ეთქვა უარი, ხოლო 139 განცხადებაზე (839 ჰა-ზე) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. აქედან, ტყით სპეციალურ სარგებლობის უფლების გაცემასთან დაკავშირებით 27 ობიექტზე ელ. აუქციონის გამოცხადებისთვის მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია. გაფორმდა ტყით სპეციალური სარგებლობის შესახებ 11 ხელშეკრულება, ჯამში 4 ჰა-ზე.

ცხრილი 1: ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები.

კომპანია	მიწის ნაკვეთი (ერთეული)	ტყითსარგებლობის ხელშეკრულება
“მაგთიკომი”	8	გაფორმდა ტყითსარგებლობის 2 ხელშეკრულება
შპს “ვიონი საქართველო”	5	გაფორმდა ტყითსარგებლობის 1 ხელშეკრულება
“სილქნეტი”	8	გაფორმდა ტყითსარგებლობის 1 ხელშეკრულება

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის და სპეციალური ჭრის უფლება გაიცა 3,255,488.0 კვ.მ ფართობზე. წარმოდგენილი ბრძანებების საფუძველზე, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის და სპეციალური ჭრებისთვის გადასახდელი თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 1,641,598.77 ლარს.

ცხრილი 2: ინფორმაცია იურიდიული და ფიზიკური პირების შესახებ, რომლებსაც განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება მიენიჭათ.

ფიზიკური ან იურიდიული პირი	ტყით სპეციალური	ფართობი (ჰა)
შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"	5	105.0
შპს "RMG Gold"	4	24.5
შპს "ჯეოტრანსი"	1	101.9
ფ/პ ნოდარ წიქარიძე	3	0.6
შპს "პარვუს ჯგუფი"	1	0.1
სს "ენერგო-პრო ჯორჯია"	68	87.1
შპს "ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია"	1	0.5
სსიპ "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"	10	0.0
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა"	4	0.0
შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"	1	71.7
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო სავეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია	1	2.5
ფ/პ ავთანდილ აიწურაძე	1	0.0
შპს "ჯეო სთოუნი"	1	2.1
შპს "კავკასუს როუდ პროჯექტი"	1	1.1
შპს "აგროინვესტი"	1	0.1
შპს "კავკასიის სამთო ჯგუფი"	4	1.3
სს "ბორჯომმინწყლები"	1	1.7
სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	1	0.8
შპს "წაღვერი"	1	0.5
ფ/პ ლაზარე მძევაშვილი	1	0.0
სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო	1	0.4
შპს "მაგთიკომი"	1	1.0
შპს "მნ 25"	1	1.0
შპს "კავკაზ ცემენტ ჯორჯია"	1	2.1
სს "სილქნეტი"	1	
სს "Rmg copper"	5	2.1
სულ:	**121**	**325,55**

4. ტყის მოვლა-აღდგენა

ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების ორგანიზებას, ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე მავნებელ-დაავადებათა მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას.

4.1. ტყის აღდგენის ღონისძიებები

2021 წელს აღდგენა-გაშენების ღონისძიებები განხორციელდა 724.5 ჰა-ზე, 7 რეგიონში. აქედან, 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები, 206,7 ჰა ფართობზე განხორციელდა წინა წლებში აღდგენილ-გაშენებული და ასევე, 2 ჰა-ზე, წინა წლებში გაშენებული პლანტაციის მოვლის ღონისძიებები. ასევე 2021 წელს განხორციელდა 2020 წელს დაწყებული ტყის აღდგენის პროექტების ფარგლებში დაგეგმილი რიგი ღონისძებები 73 ჰა ფართობზე.

წელი	აღდგენა (ჰა)	გაშენება (ჰა)	სულ აღდგენა-გაშენება (ჰა)	დარგული ნერგი (ცალი)	წინა წლებში აღდგენა/გაშენებული ფართობების მოვლა (ჰა)
2013		16.3	16.3	32,000.0	
2014	1.36	60.0	61.36	131,000.0	16.3
2015	3,9	10.9	14.8	47,200.0	84.67
2016	39.46	34.8	74.26	160,870.0	92.06
2017	12.12	40.5	52.62	79,780.0	80.84
2018	13.33	150.4	163.73	378,092.0	99.24
2019	40.8	7.46	48.26	57,130.0	254.36
2020	157.7	1.24	158.94	8,290.0	205.94
2021	442.8		442.8		281.7
სულ 2013-2021 წლებში	**711.47**	**320.36**	**1033.07**	**894,362**	**1115,11**

ცხრილი 3: 2013-2021 წლებში სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ტყის აღდგენა-გაშენების კუთხით გატარებული ღონისძიებები.

4.2. ტყის დაცვის ღონისძიებები

2021 წლის მაისში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 26,000.0 ჰა ფართობზე, მბეჭდავი ქერქიჭამიას მონიტორინგის მიზნით, განთავსდა 3,000 ცალი ფერომონიანი მწერსაჭერი. მავნებლის მისაზიდად გამოყენებულია ფერომონი „იპსოვიტი“. მონიტორინგის მიზნით, 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა 12 საველე გასვლა. შედეგად, დაჭერილი და განადგურებულია 1,137,300 ცალი მბეჭდავი ქერქიჭამია.

ცხრილი 4: დაჭერილი და განადგურებული მავნებლის რაოდენობა (ცალი) სატყეო უბნების მიხედვით.

სატყეო უბანი	მავნებლის რაოდენობა (ცალი)
ბორჯომი	516,500
ბაკურიანი	128,700
ადიგენი	89,200
ასპინძა-ახალქალაქი	189,700
ახალციხე	213,200
სულ	1,137,300

ბზის ალურა - Cydalima perspectalis

სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე 2015 წელს დაფიქსირებული კოლხური ბზის ინვაზიური მავნებლის - ბზის ალურას Cydalima perspectalis - ის მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 183 ცალი ფერომონიანი მწერსაჭერების განლაგება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში. წლის ბოლოს განხორციელებული საველე კვლევების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მავნებელი ბუნებრივი წარმოშობის ბზის კორომებში ფაქტობრივად აღარ გვხვდება.

წაბლის ქერქის კიბო - Cryphonectria parasitica

2019 წელს ეროვნულმა სატყეო სააგენტომ, წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღების პროგრამის ფარგლებში, გააგრძელა წაბლნარი კორომების კვლევა. 2021 წელს კვლევები განხორციელდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და კახეთის რეგიონებში, კერძოდ: ჩხოროწყუს, წალენჯიხის, თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ზესტაფონის სატყეო უბნებში. ასევე, განხორციელდა წაბლის ქერქის კიბოსა და მისი პოტენციური ჰიპოვირულენტური შტამების ნიმუშების შეგროვება ლაბორატორიაში დამუშავების მიზნით.
დაავადებულ კორომებში სანიტარული ჭრის ფარგლებში დამზადდა - 6200 კბმ მერქნული რესურსი. მიღწეულია ტყის კორომების გაჯანსაღებისა და ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის ტენდენციები.

მუხის ფოთლის რწყილის მონიტორინგი

540 ჰა ფართობზე განხორციელდა კვლევა მუხის ფოთლის რწყილის მონიტორინგის მიზნით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მუხის ფოთლის რწყილის რაოდენობა შემცირდა. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით დამატებითი ღონისძიების ჩატარება საჭირო არ გახდა.

4.3. ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები

კლიმატის ცვლილება, ტემპერატურის მატება, ნალექის სეზონური ცვლილება და მშრალი ზაფხული, აგრეთვე ანთროპოგენული ფაქტორები, შეიძლება გახდეს ტყის ხანძრის გამომწვევი მიზეზი. ტყის ხანძრების პრევენციის და რისკის შემცირების მიზნით, სააგენტომ ხანძარსაშიშ სატყეო უბნებზე დაასაქმა 30 მეხანძრე დარაჯი, რომლებიც აკონტროლებდნენ საკემპინგე და საპიკნიკე ადგილებს. აღსანიშნავია, რომ მეხანძრე-დარაჯებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგები ტყის ხანძრების პრევენციასა და პირველადი რეაგირების მიმართულებით.

რეგიონი	შემთხვევათა რაოდენობა	ხანძრით მოცული ფართობი (ჰა)
იმერეთი	11	71.6
გურია	2	8.1
სამეგრელო ზ/სვანეთი	11	163.5
რაჭა-ლეჩხუმი ქ/სვანეთი	10	134.06
კახეთი	1	50
სამცხე/ჯავახეთი	1	1.5
მცხეთა-მთიანეთი		
ქვემო ქართლი	6	30.03
შიდა ქართლი	2	12
სულ	**44**	**470.79**

ცხრილი 5: 2021 წელს სახელმწიფო ტყეში დაფიქსირებული ხანძრები რეგიონების მიხედვით.



დიაგრამა 8: სახელმწიფო ტყეში დაფიქსირებული ხანძრები წლების მიხედვით.

5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები

2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ტერიტორიული სატყეო სამსახურების თანამშრომელთა მიერ გამოვლენილი იქნა 97 სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შედგა შესაბამისი საველე აქტები და შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა შესაბამის უწყებებში. უკანონოდ მოპოვებული რესურსის მოცულობამ შეადგინა 3,638.158 კბმ, გარემოზე მიყენებულმა ზიანის ოდენობამ შეადგინა 500,729.84 ლარი.

2021 წლის განმავლობაში სააგენტოს 71 თანამშრომლის მიმართ განხორციელდა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება, კერძოდ: დისციპლინური პასუხისგებლობის ზომა ,,შენიშვნა“ დაეკისრა 49 თანამშრომელს, „გაფრთხილება“ 12 თანამშრომელს, „საყვედური“ 8 თანამშრომელს, ხოლო 2 თანამშრომელი „გათავისუფლდა სამსახურიდან“.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად:
შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირებისა და შრომის უსაფრთხოების სამმართველოს თანამშრომლებმა დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში, 2021 წლის მე-2 კვარტალში, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურებში, შერჩევითი წესით შეისწავლეს სატყეო სამსახურებში 2020-21 წლების განმავლობაში, შესული წერილები (მოქალაქეთა განცხადებები) მრგვალი ხე-ტყის (მორი) მარკირების თაობაზე და მათი შესრულების მდგომარეობა, დოკუმენტურად შერჩევით შემოწმდა ამავე პერიოდში სატყეო სამსახურების მიერ გამოყოფილი სოციალური და სპეციალური ჭრის ტყეკაფების მასალები, სატყეო სამსახურების მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები და დათვალიერდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (ედოკი), კორესპონდენციის შესრულების მდგომარეობისა და განსაზღვრულ ვადებში შესრულების გადამოწმების მიზნით. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე რეგიონულ
სატყეო სამსახურებს მიეცათ რეკომენდაციები ხარვეზების გამოსწორების და შემდგომში გასათვალისწინებლად.

2021 წლის IV კვარტალში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტისა და ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ერთობლივად გადამოწმდა მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურებში სააგენტოს მიერ 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებზე გაიცა შესაბამისი მითითებები, ხარვეზების გამოსწორების და შემდგომში გათვალისწინების მიზნით.

6. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებულია სულ 757 თანამშრომელი, მათგან კაცი - 650, ქალი -107.
757 თანამშრომლიდან შტატით სააგენტოში დასაქმებულია 481 თანამშრომელი, შტატგარეშედ დასაქმებულია - 276 თანამშრომელი.



დიაგრამა 9: დასაქმებულთა რაოდენობის გენდერული განაწილება.



დიაგრამა 10: შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა.



დიაგრამა 11: თანამშრომელთა ასაკობრივი ჯგუფებისა და გენდერის მიხედვით განაწილება.

თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობის მართვა არის ადამიანური კაპიტალის მართვისა და განვითარების განუყოფელი ნაწილი, რომლის დანერგვა და შესრულება ხელს უწყობს ორგანიზაციულ განვითარებას, აგრეთვე სააგენტოს მიერ მასზე ნაკისრი ვალდებულებების ხარისხიან შესრულებას. დაინერგა თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემა და 96 თანამშრომლის მიმართ განხორციელდა შუალედური და საბოლოო შეფასება. პერიოდულად ხორციელდება eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა/განახლება.

7. სტრატეგიული დაგეგმვა-განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა

სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკისა და მიდგომების გაზიარების მიზნით, ეროვნული სატყეო სააგენტო ინტენსიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ნაწილი კი კვლავ მიმდინარეობს.

7.1. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება

საანგარიშო პერიოდში განახლდა სააგენტოს წლიური დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცედურები. შეიქმნა სააგენტოს წლიური გეგმების შედგენის, მონიტორინგის და ანგარიშგების წესი, რომელშიც აღწერილია თანმიმდევრული პროცედურები, რაც უნდა განხორციელდეს წლიური საოპერაციო გეგმების შემუშავებისა და ანგარიშგებისთვის.
შემუშავდა პროექტების მართვის სახელმძღვანელო, რომლის დანიშნულებაა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოში პროექტების მომზადების, განხორციელებისა და მართვის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიის და სტანდარტების დანერგვა.[6]

[6] დოკუმენტი მომზადდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიცირებით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა“ ფარგლებში.

7.2. საერთაშორისო თანამშრომლობა

ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში ტყის დეგრადაციის შედეგად სათბური აირების გამოყოფის შემცირებისთვის - პროგრამის ფარგლებში მომზადდა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა (GIZ) და სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე 8 სამიზნე სატყეო უბანზე“.

ბუნებრივი რესურსების მართვა და ეკოსისტემური მომსახურებებით უზრუნველყოფა სოფლად მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში (ECOserve) (BMZ/GIZ) - პროექტის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოეწყო საქმიანი ეზო. აგრეთვე, სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტყის 64,894 ჰა ფართობზე განხორციელდა ტყის აღრიცხვა გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით და შემუშავდა ეკოსისტემურ მიდგომებზე დაფუძნებული ტყის მართვის გეგმები. ამავე პროექტის ფარგლებში, COVID 19-ის მიერ გამოწვეულ კრიზისთან დაკავშირებით, სააგენტომ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთში მოიპოვა 6529,63 მ3 ხე-ტყე. 192 საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიეწოდა საშეშე მერქნული რესურსი. კერძო კომპანიების მიერ სატყეო სამუშაოებზე დასაქმდა 156 ადამიანი. თიანეთის ტყეში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოეწყო 376,8 მ სატყეო გზა. სააგენტომ ხანძრის მონიტორინგის მიზნით დაასაქმა 30 მეხანძრე-ინსპექტორი.

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერა

ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, ასევე ქვემო ქართლის რეგიონისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურიის რეგიონი), მომზადდა ეკო-ტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმები. შემუშავდა საფეხმავლო ბილიკების განვითარების ეროვნული დონის ოპერაციული სახელმძღვანელო და მომზადდა საფეხმავლო ბილიკების მონიშვნის ტექნიკურ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტი. დამატებით, მომზადდა სააგენტოს პროექტების მართვის სახელმძღვანელო. ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, განხორციელდა 5 თემატური ტრენინგი. ტრენინგების შედეგად გაიზარდა სააგენტოს თანამშრომლების ცოდნა, როგორც ახალი ტყის კოდექსის, ასევე ტყის ხანძრების მართვის, საფეხმავლო ბილიკების მოწყობის, ეფექტური კომუნიკაციებისა და პროექტების მართვის საკითხებზე. სულ პროექტის ფარგლებში გადამზადდა 638 თანამშრომელი. პროექტის საგრანტო თანხა შეადგენდა 119,600 აშშ დოლარს (განხორციელების პერიოდი: 2020-2021 წწ).

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერა

ტყის ინვენტარიზაციის, ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავების პროცესისა და დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა - პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ტყის აღრიცხვისა და ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავების პროცესი დედოფლისწყაროსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ტყის 77,537 ჰა ფართობზე. ტყის აღრიცხვის სამსახურის კოორდინაციით, საანგარიშგებო პროცესში განხორციელდა თეთრიწყაროს სატყეო უბნის ფართობების და საზღვრების დაზუსტება (საკვარტალე ქსელის მომზადება, დეშიფრირება), ელექტრონული Shp-ფაილების მომზადება - 54,202 ჰა. აგრეთვე, 2021 წლის დასაწყისში დასრულდა ტყის აღრიცხვის საველე სამუშაოები (4 135 ჰა) დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბანზე. მოცემულ საველე სამუშაოებზე დასაქმებული იყო 26 ახალგაზრდა მეტყევე-ინჟინერი. პროექტის საგრანტო თანხა შეადგენდა 417,140 ლარს. (განხორციელების პერიოდი: 2020-2022 წწ).

სლოვენიის მთავრობის მხარდაჭერა

ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში - ეროვნულმა სატყეო სააგენტომ და სლოვენიის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრმა (CMSR) 2020 წელს გააფორმა საგრანტო ხელშეკრულება. საგრანტო თანხა შეადგენს 563,540 ევროს. პროექტს ახორციელებენ კავკასიის მსოფლიო ფონდისა და სლოვენიური კომპანიის Zavita-ს მიერ შექმნილი კონსორციუმი. 2021 წლის განმავლობაში, პროექტის გუნდმა შეისყიდა ტყის ინვენტარიზაციის აღჭურვილობა, აგრეთვე გადამზადდა 10 ახალგაზრდა მეტყევე-სპეციალისტი, რომლებმაც ადიგენის სატყეო უბანზე განახორციელეს ტყის აღრიცხვის საველე სამუშაოები. განხორციელდა სასწავლო ვიზიტი სლოვენიის რესპუბლიკაში ტყის მართვის სლოვენიური პრაქტიკის გაცნობის მიზნით. ვიზიტში მონაწილეობა მიიღეს სააგენტოსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა

2019 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა სატყეო სექტორის საკომუნიკაციო სტრატეგია 2021–2024 და სამოქმედო გეგმა (2020-2021). სტრატეგიის მიზანია დიალოგის გაუმჯობესების გზით, საზოგადოებისთვის ტყის მდგრადი მართვის შესახებ ცნობიერების ამაღლება, აგრეთვე სატყეო სექტორის პოპულარიზაცია და მოსახლეობაში სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება. შესაბამისად, ეროვნული სატყეო სააგენტო მიზნის მისაღწევად ახორციელებს თანმიმდევრულ ქმედებებს.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, ასევე, ტყის და მეტყევის პროფესიის მნიშვნელობის პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბანერები, ბლოგები, რუბრიკები.

შეიქმნა ხუთი სოციალური ვიდეო რგოლი ცნობილი სახეების მონაწილეობით: „ნუ მოჭრი ბზას!“, „დაიცავი ტყეში ქცევის წესები!“ (ხანძრების პრევენცია) და „ნუ მოჭრი ნაძვს!“.



სურათი 1:
გაიცანი მეტყევე!

სურათი 2:
ერთი ხის ისტორია.

სურათი 3:
ნუ მოჭრი ბზას!

სურათი 4:
დაიცავი ტყეში ქცევის წესები

სურათი 5:
დაემორჩილე აკრძალვებს, რომელიც ტყეში გადაადგილებისას ვრცელდება!

სურათი 6:
ნუ მოჭრი ნაძვს!

სააგენტოს ვებ გვერდზე დაემატა ახალი ველი „ტყითსრაგებლობა“, რომელშიც თავმოყრილია ტყის ახალი კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებული სასარგებლო ინფორმაცია.

საინფორმაციო სააგენტოებით, სატელევიზიო და რადიო არხებით, როგორიცაა საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანიები: იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, პოს-ტვ, პალიტრა ტვ, ფორმულა, მთავარი და ა.შ.

2021 წლის განმავლობაში სააგენტოს სოციალურ ქსელი Facebook-ის გვერდს მომხმარებელთა რაოდენობამ 12,148.0-ს მიაღწია.

საანგარიშო პერიოდში გაშუქდა შემდეგი ძირითადი თემები:

ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და გასული წლების სტატისტიკა;
შეხვედრა მცხეთა-მთიანეთის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;
ეროვნულ სატყეო სააგენტოს სპეცტექნიკით აღჭურვა;
21 მარტი ტყის საერთაშორისო დღეა;
კამპანია „ნუ მოჭრი ბზას!“ ;
ტყის აღდგენის პროექტი ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე;
სამცხე-ჯავახეთში მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
საქართველოს ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში, ქუთაისში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა (ქუთაისის მუხნარი);
შუალედური მონიტორინგი ზესტაფონის წაბლნარში;
დასუფთავების აქცია უჯარმის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე;
ეროვნული სატყეო სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტს „ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა” ახორციელებს;
ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები;
69-ე საჯარო სკოლაში ეკოგაკვეთილი გაიმართა;
ტყის აღდგენის პროექტი ხობის მუნიციპალიტეტში;
მუხნარის ე.წ საღორიის ტყის აღდგენის ღონისძიებები;
მრგვალი მორის გაზომვისა და მონაცემთა მართვის ინოვაციური სისტემა;
ტყის ინვენტარიზაცია ადიგენის მუნიციპალიტეტში;
სასწავლო კურსი სატყეო სამსახურების თანამშრომლებისთვის;
საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურის გამო, ხანძრების გაჩენის რისკი იზრდება;
„COVID-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი სამეგრელოში;
„COVID-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი სამცხე-ჯავახეთში;
მეტყევე-სპეციალისტების ტყის ხანძრების პრევენციისა და პირველადი რეაგირების მიმართულებით გადამზადება;
ხანძრების პრევენცია;
დაემორჩილე აკრძალვებს, რომელიც ტყეში გადაადგილებისას ვრცელდება!;
„COVID-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი იმერეთში;
ტყის ხანძრების პრევენცია;
ხანძრების პრევენცია;
სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა უმრავლესობა ვაქცინირებულია;
ქუთაისის მუხნარში ტყის აღდგენის სამუშაოები გრძელდება;
წაბლნარი კორომების აღდგენის პროგრამა კახეთში;
წლის წარმატებული მეტყევეების დაჯილდოება;
„სანდრო ურუშაძის პრემია 2021“-ის მფლობელები გამოვლინდნენ;
ეროვნულმა სატყეო სააგენტომ წლის წარმატებული მეტყევეები გამოავლინა
22 ოქტომბერი ხის დარგვის საერთაშორისო დღეა;
ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე ტყის აღდგენის პროექტი გრძელდება;
ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები ამბროლაურში;
მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის პროგრამის პრეზენტაცია
ტყის აღდგენის პროექტი ქვემო ქართლში;
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლების დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს.

9. ბიუჯეტის შესრულება

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2021 წლისათვის, ,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული ბიუჯეტის (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის N237 განკარგულების) შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 31’525,0 ათ . ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 7’950,0 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 23’575,0 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები დაგეგმილი იქნა სულ 31’950,0 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 7’950,0 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 24’000,0 ათ. ლარის ოდენობით.
განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად („საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2021 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის N237 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულება N2302 21.12.2021), დაზუსტდა საბიუჯეტო სახსრების გადასახდელების გეგმა, რომელმაც ნაცვლად 7’950 ათ. ლარისა შეადგინა 8’321,70 ლარი და შესაბამისად გადასახდელები დაიგეგმა 33’521,7 ათ. ლარი, აქედან საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 8’321,70 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 25’200,0 ათ. ლარის ოდენობით. 1’625,0 ათ. ლარით გაიზარდა საკუთარი შემოსავლების გეგმის მაჩვენებელი და განისაზღვრა 25’200,0 ათ. ლარით.

დასახელება	2021 წლის წლიური გეგმა				2021 წლის ფაქტი				2021 წლის შესრულება			
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიო-დის დასაწყისი-სათვის	**425.0**			**425.0**	**425.0**			**425.0**				
შემოსულობები	**35,512.43**	**8,321.70**	**1,990.73**	**25,200.00**	**37,097.07**	**8,007.53**	**1,728.18**	**27,361.35**	**104%**	**96%**	**87%**	**109%**
შემოსავლები	**35,512.43**	**8,321.70**	**1,990.73**	**25,200.00**	**37,097.07**	**8,007.53**	**1,728.18**	**27,361.35**	**104%**	**96%**	**87%**	**109%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	8,321.70	8,321.70	-	-	8,007.53	8,007.53	-	-	96%	96%		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	25,200.00	-	-	25,200.00	27,361.35	-	-	27,361.35	109%			109%
გრანტები	1,990.73	-	1,990.73	-	1,728.18	-	1,728.18	-	87%		87%	
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა 31 09	**35,937.43**	**8,321.70**	**1,990.73**	**25,625.00**	**34,329.92**	**8,007.53**	**1,728.18**	**24,594.20**	**96%**	**96%**	**87%**	**96%**
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 31 09 01	**16,508.70**	**6,981.70**	**-**	**9,527.00**	**16,204.54**	**6,808.06**	**-**	**9,396.48**	**98%**	**98%**		**99%**
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 31 09 02	**2,385.54**	**300.00**	**1,127.34**	**958.20**	**2,079.12**	**296.85**	**919.87**	**862.40**	**87%**	**99%**	**82%**	**90%**
ტყითსარგებლობის ღონისძიებები 31 09 03	**16,447.29**	**805.00**	**530.49**	**15,111.80**	**15,497.82**	**668.26**	**521.99**	**14,307.57**	**94%**	**83%**	**98%**	**95%**
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 31 09 04	**595.90**	**235.00**	**332.90**	**28.00**	**548.44**	**234.37**	**286.32**	**27.76**	**92%**	**100%**	**86%**	**99%**
ნაშთის ცვლილება	**-425.0**	**-**	**-**	**-425.0**	**2767.1**	**-**	**-**	**2767.1**				

ცხრილი 6: 2021 წლის გეგმა/ფაქტი და შესრულების პროცენტული მაჩვენებელი (ათ. ლარი).

კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები

ფაქტობრივად, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2021 წელს შეადგინა **27’361,34 ათ. ლარი:**

დიაგრამა 12: 2021 წლის საკუთარი შემოსულობების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები სახეების მიხედვით (ათ. ლარი)



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

საანგარიშო პერიოდში, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები და დამტკიცდა ფულადი სახსრების (მ.შ. ნაშთის) ხარჯთაღრიცხვები:

- ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის" ხელშეკრულების ფარგლებში - 1’127,4 ათ. ლარზე; (ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის);
- სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - პროექტის მმართველობის რეფორმის ფონდის (GRF) ინიციატივის ფარგლებში - „ტყის გამოყენების მრავალფუნქციური პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა” - 392,3 ათ. ლარზე (119’600 აშშ დოლარი);
- ასევე, დონორისათვის აუთვისებელი საგრანტო სახსრების (ნაშთის) დაბრუნების მიზნით, დამტკიცდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) გარემოსდაცვითი პროგრამის ECOserve-ს ფარგლებში დაფინანსებული ორი საგრანტო ხელშეკრულების (COVID-19-ის ზემოქმედების შერბილების და ახმეტის სატყეო უბნის ინვენტარიზაციის) მიზნობრივი გრანტის ხარჯთაღრიცხვა;
- დამტკიცდა დედოფლისწყაროს და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ტყის 73’528 ჰა-ზე ტყის ინვენტარიზაციის, ტყის რესურსების მდგრადი მართვის გეგმების შემუშავების პროცესისა და მდგრადი მართვის ხელშეწყობის მიზნით (2020-2022წწ), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული მიზნობრივი გრანტის N2019, 22.06.20. (394 640 ლარი) ხარჯთაღრიცხვის მაჩვენებლები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილი იქნა ამავე ხელშეკრულების ცვლილების (სახელშეკრულებო თანხის გაზრდის) მიზნობრივი გრანტის N2248, 17.05.21 (22 500 ლარი) წლიური ხარჯთაღრიცხვა.

2021 წელს გასაწევმა ხარჯების გეგმამ შეადგინა 1’990,73 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1’728,18 ათ. ლარი.

ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია

2021 წელს გამოცხადდა 1039 ელექტრონული აუქციონი. გაყიდულმა მერქნულმა რესურსმა (სტატუსით-გაყიდული) შეადგინა 112’787 კუბური მეტრი; აუქციონის საბოლოო გასაყიდმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 21’353’882 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები

- სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით 3’623’683,69 ლარზე, საკუთარი სახსრებით 7’367’982,50 ლარზე, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში - 1’080’873,94 ლარზე;
- მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდა 3 სატვირთო ავტომანქანის შესყიდვა. ასევე, განხორციელდა 1 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომანქანის შეძენა; სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა 10 ერთეული პიკაპის ტიპის ავტომანქანის შეძენა;
- 81’069 (ოთხმოცდაერთი ათას სამოცდაცხრა) ჰექტარი ტყის ინვენტარიზაციის (რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ტყის ფონდში) მიზნით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული იქნა მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება 760’000 ლარზე.

საქმიანი ეზოების მოწყობა

მიმდინარეობდა ადმინისტრაციული ოფისების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები 6 ობიექტზე, საიდანაც დასრულდა 3 ადმინისტრაციული შენობა: **რაჭა** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვაცხუთი; **გურია** - ქალაქი ოზურგეთი; **იმერეთი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. გუმბრა.

ცხელი ხაზი 153

info@forestry.gov.ge

www.forestry.gov.ge

ქ. თბილისი, გულუას ქუჩა N6

ეროვნული სატყეო სააგენტო
National Forestry Agency